2020-2023 წლების სამოქმედო გეგმა
სსიპ „აწარმოე საქართველოში“

ამოცანები	საქმიანობა	ამოცანის ინდიკატორები	ვადები	შემსრულებელი
ამოცანა 1. სააგენტოს შიგნით გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება; გენდერული თანასწორობის საკითხების კომისიასა და გენდერული მრჩევლის პოზიციის შექმნა (შესაძლებლობის შემთხვევაში);	1.1. შემუშავდეს და დამტკიცდეს გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის[1] რეკომენდაციებზე დაყრდნობით; 1.2. სააგენტოში შეიქმნას გენდერული თანასწორობის საკითხების კომისია, წინამდებარე სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებისა და კოორდინაციისათვის; 1.3. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოში შემუშავდეს გენდერული მრჩევლის სამუშაო აღწერილობა, შეიქმნას გენდერული მრჩევლის საშტატო ერთეული და დაინიშნოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი; 1.4. სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლობებში (ასეთების შექმნის შემდგომ) გატარდეს გენდერული მეინსტიმინგი, გამოიყოს თანამშრომელი (საკონტაქტო პირი) და გადამზადდეს გენდერულ საკითხებში;	2020 წლიდან სააგენტოში გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ინსტიტუციური მექანიზმის არსებობა **ბაზისი:** 2019 წლისთვის სააგენტოში არ არსებობს გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმი, გენდერული თანასწორობის სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და შესაბამისი საკითხების მაკოორდინირებელი კომისია **მიზანი:** შექმნილია შესაბამისი ინსტიტუციური სისტემა, მათ შორის, დამტკიცებულია გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, შექმნილია მაკოორდინირებელი კომისია; შესაძლებლობის შემთხვევაში, 2020 წლის ბოლოსთვის შექმნილია გენდერული მრჩევლის საშტატო ერთეული; რეგიონებში გამოყოფილია	2020-2021 (პირველი კვარტალი)	ადმინისტრაციული დეპარტამენტი

[1] სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, UN Women 2019

		გენდერულ საკითხებზე საკონტაქტო პირი		
ამოცანა 2. სააგენტოში შექმნილი გენდერული თანასწორობის საკითხების კომისიის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა წინამდებარე სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაციისთვის	2.1. შემუშავდეს გენდერული თანასწორობის საკითხების კომისიის მოქმედების წესი; 2.2. უზრუნველყოფილი იყოს კომისიის რეგულარული მუშაობა და კომისიამ განახორციელოს მონიტორინგი თავის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე; 2.3. მომზადდეს ყოველწლიური ანგარიში კომისიის მუშაობაზე;	სააგენტოში შექმნილი გენდერული თანასწორობის საკითხების კომისიის ეფექტური ფუნქციონირების შესახებ მტკიცებულების არსებობა **ბაზისი:** 2019 წლისთვის სააგენტოში არ არსებობს გენდერული თანასწორობის საკითხების კომისია, არ არის დამტკიცებული კომისიის მოქმედების წესი, არ მზადდება შესაბამისი ანგარიში **მიზანი:** კომისიის სამოქმედო გეგმის დამტკიცება, წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ კომისიის შეხვედრის ორგანიზება, შესაბამისი სხდომის ოქმებისა და ანგარიშების მომზადება	2020-2021 (პირველი კვარტალი)	ადმინისტრაციული დეპარტამენტი
სტრატეგიული მიზანი 2. სააგენტოს თანამშრომლების და ბენეფიციარების ცნობიერების გაზრდისა და უნარების განვითარების/გაძლიერების მხარდაჭერა ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე; სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების რეგულარული შეგროვების სისტემის დანერგვა				
ამოცანა 3. სააგენტოს ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების	3.1. სააგენტოს ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების გადამზადება და კომპეტენციის ამაღლება გენდერული თანასწორობის, ქალთა	სააგენტოს თანამშრომლების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს	2020 -2022	გაეროს ქალთა ორგანიზაცია;

კომპეტენციის ამაღლება გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებებისა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და სხვა საკითხების შესახებ	უფლებების და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე; 3.2. შესაბამისი თანამშრომლების გადამზადება გენდერული ანალიზის, გენდერულად სენსიტიური დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგისა და გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე; 3.3. გენდერული თანასწორობის შესახებ ელექტრონული კურსის დანერგვა სააგენტოს თანამშრომლებისთვის;	სპეციალური გადამზადება გენდერულ საკითხებზე (ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, გენდერულად სენსიტიური ანალიზის, დაგეგმვის, შეფასების, მონიტორინგის და ბიუჯეტირების საკითხებზე) **ბაზისი:** 2019 წლის მონაცემებით განხორციელებული აქტივობები არ ატარებდა სისტემურ ხასიათს **მიზანი:** 2021 წლის ბოლოსთვის თანამშრომლების სულ მცირე 70% გადამზადებულია ზემოაღნიშნულ გენდერულ საკითხებზე; დანერგილია შესაბამისი ელექტრონული კურსი		ადმინისტრაციული დეპარტამენტი
ამოცანა 4. ინფორმაციის დამუშავება გენდერულ ჭრილში, სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების რეგულარული შეგროვების სისტემის დანერგვა	4.1 ინფორმაციის დამუშავება გენდერულ ჭრილში, სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების რეგულარული შეგროვების სისტემის დანერგვა სააგენტოს სისტემაში; 4.2. სააგენტოში არსებული სტრატეგიების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და შიდა	სააგენტოს სისტემაში სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების შეგროვება **ბაზისი:** არ არსებობს სააგენტოს შიგნით სქესის ნიშნით დანაწევრებული	2020-2023	ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტი; ადმინისტრაციული დეპარტამენტი

	რეგულაციების გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელება;	მონაცემების შეგროვების სისტემა **მიზანი:** სააგენტოს სისტემაში დანერგილია მონაცემების შეგროვების სისტემა		
ამოცანა 5. თანამშრომელთა მუშაობის შეფასების, დაწინაურების პროცედურების, თანაბარი ანაზღაურების ხელშეწყობისა და თანამშრომელთა წახალისების მექანიზმების შემუშავება და დამტკიცება	5.1. თანამშრომლების მუშაობის შეფასების სისტემის დანერგვა; 5.2. დაწინაურების პროცედურების და მექანიზმების შემუშავება და დანერგვა; 5.3. თანამშრომლების წახალისების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;	2020 წლის ბოლომდე სააგენტოს შიგნით მოხდა გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება, გაიწერა წესები და მექანიზმები და შესაბამის, შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში შეტანილი იქნა ცვლილებები **ბაზისი:** მე-5 ამოცანაში მითითებული რეგულაციების არარსებობა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში **მიზანი:** შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საჭირო ცვლილებების შეტანა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში	2022 წლის მეოთხე კვარტალი	ადმინისტრაციული დეპარტამენტი
ამოცანა 6. ბენეფიციარების, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული ქალების, სამეწარმეო	6.1. სააგენტომ უზრუნველყოს რეგიონებში მცხოვრები ქალი მეწარმეების და ქალების მე-6 ამოცანაში მითითებული სამეწარმეო უნარებისა და საჭირო ცოდნის განვითარებისათვის	დატრეინინგებულია ქალთა ორგანიზაციები რეგიონებში მეწარმე და მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული	2020-2023	მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტი;

უნარებისა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების და საჭირო ცოდნის განვითარების მიზნით საინფორმაციო სესიების და ტრეინინგების ჩატარება	ტრეინინგების და საინფორმაციო სესიების ჩატარება არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით; 6.2. სააგენტომ უზრუნველყოს რეგიონებში **მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული** ქალი მეწარმეებისა და ქალების მე-6 ამოცანაში მითითებული სამეწარმეო უნარებისა და საჭირო ცოდნის განვითარებისათვის ტრეინინგების და საინფორმაციო სესიების ჩატარება არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით; 6.3. წარმატებული ქალების (სააგენტო, კერძო კომპანიების წარმომადგენლები, მეწარმეები, ნოვატორი ქალები) მენტორული პროგრამის შემუშავება ახალგაზრდა ქალების ჩართულობის გასაზრდელად (მრჩევლის არსებობის შემთხვევაში) 6.4. წელიწადში ერთხელ სააგენტოს პროგრამების გადახედვა და ქალებისთვის პოზიტიური ღონისძიებების მიღების საჭიროებისა და შესაძლებლობის განხილვა; **ამ სამოქმედო გეგმის მიზნებისთვის, მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნება:** ეთნიკური და რელიგიურ უმცირესობები, იძულებით გადაადგილებული პირები, შშმ ქალები, 21 წლამდე ასაკის გოგოები, 65 წელს გადაცილებული და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ქალები;	(მეწარმე) ქალებისთვის შესაბამისი ტრეინინგებისა და საინფორმაციო სესიების ჩასატარებლად შემუშავებულია მენტორული პროგრამები და განსაზღვრულია მათში ჩართულ ქალ ბენეფიციართა და მენტორთა რაოდენობა (მრჩევლის არსებობის შემთხვევაში) **ბაზისი:** სააგენტოს მიერ ჩატარებული ტრეინინგები/საინფორმაციო სესიები არ იყო განკუთვნილი კონკრეტულად ქალი მეწარმეებისა და რეგიონში მცხოვრები ქალებისთვის არ არსებობს მენტორული პროგრამები **მიზანი:** შერჩეულია რეგიონები, ფოკუს ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციები ტრეინინგების და საინფორმაციო სესიების ჩასატარებლად		მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი;

		ჩატარებულია წელიწადში არანაკლებ 4 ტრეინინგი და საინფორმაციო სესია დანერგილია მენტორობის პროგრამა		
ამოცანა 7. სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების რეგულარული შეგროვების სისტემის დანერგვა სააგენტოს პროგრამებში (შესაძლებლობის შემთხვევაში)	7.1. მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამასა და შესაძლებლობის შემთხვევაში, სააგენტოს სხვა პროგრამებში მოხდეს სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების შეგროვება და აღნიშნული მონაცემების სააგენტოს პერიოდულ ანგარიშებში ასახვა	**ბაზისი:** სააგენტოს გააჩნია მხოლოდ მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ბენეფიციართა სტატისტიკა **მიზანი:** შესაძლებლობის შემთხვევაში, მის შესაბამის პროგრამებში დანერგილია მონაცემების შეგროვების სისტემა	2020-2023	ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტი
ამოცანა 8. დაფინანსებული საწარმოებისთვის ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ ინფორმაციის მიწოდება	8.1. ქალთა გაძლიერების პრინციპების შესახებ ბენეფიციარებისთვის ინფორმაციის მიწოდება	ბენეფიციართა რაოდენობა, ვისთვისაც მოხდა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება (ინდუსტრიული მიმართულების ბენეფიციარები)	2020-2023	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი
სტრატეგიული მიზანი 3. გენდერული თანასწორობის საკითხებზე ეფექტიანი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მექანიზმის დანერგვა; სააგენტოს საქმიანობის გაუმჯობესება საკომუნიკაციო აქტივობებისა და მექანიზმის შესაბამისად				
ამოცანა 9. გენდერული თანასწორობის საკითხებზე ეფექტიანი თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მექანიზმის დანერგვა სამთავრობო	9.1. გააქტიურდეს თანამშრომლობა სხვადასხვა გენდერული თანასწორობის მექანიზმთან *(საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, სახალხო*	სააგენტოსა და სამთავრობო, საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების	2020-2023	საერთაშორისო ურთიერთობების და დონორთა კოორდინაციის სამსახური;

სექტორთან, შესაბამის საერთაშორისო/ადგილობრივ და სხვა ტიპის ორგანიზაციებთან	*დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი);* 9.2. მოხდეს აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორთან, მათ შორის, რეგიონებში მოქმედ არასამთავრობო სექტორთან და სხვადასხვა ბიზნეს და მეწარმე ქალთა ასოციაციებთან; 9.3. პროექტებისა და მექანიზმების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, მოხდეს გრძელვადიანი დაფინანსების მექანიზმების/პროექტების ინიცირება სხვადასხვა დონორებთან; 9.4. კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში არსებულ ქალთა მეწარმეობის განვითარების მიზნით შექმნილი ქვე-საბჭოს მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობა;	მიერ განხორციელებული ერთობლივი ინიციატივები **ბაზისი:** 1 ერთობლივი ინიციატივა **მიზანი:** წელიწადში 3 ერთობლივი ინიციატივა ერთობლივი ინიციატივები სააგენტოსა და კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში არსებულ ქალთა მეწარმეობის განვითარების მიზნით შექმნილ ქვე-საბჭოსთან **ბაზისი:** 0 ერთობლივი ინიციატივა **მიზანი:** წელიწადში 2 ერთობლივი ინიციატივა		სხვადასხვა დეპარტამენტი
ამოცანა 10. სააგენტოს მიერ საზოგადოებისთვის რეგულარულად განახლებადი ინფორმაციის მიწოდება გენდერული საკითხების, შესაბამისი სტრატეგიების პროგრესისა და შედეგების შესახებ	10.1. სააგენტოს ვებ-გვერდზე გენდერული საკითხების შესახებ რელევანტური ინფორმაციის განთავსება (გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმები, სხვა დოკუმენტები და ინფორმაცია) 10.2. სააგენტოს ბენეფიციარი წარმატებული მეწარმე ქალების პოპულარიზაცია; 10.3. ტრენინგი საკომუნიკაციო აქტივობებში გენდერული პრინციპების ინტეგრაციის	ყველა სახის რელევანტური ინფორმაცია განთავსებულია სააგენტოს ვებ გვერდზე, სოციალურ ქსელში თუ მედიაში და ხდება მისი რეგულარული განახლება **ბაზისი**: ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა	2020-2023	საერთაშორისო ურთიერთობების და დონორთა კოორდინაციის სამსახური; ადმინისტრაციული დეპარტამენტი

	შესახებ საზოგადოებასთან ურთიერთობების ერთეულის თანამშრომლებისათვის; 10.4. ქალთა საერთაშორისო დღისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან გლობალურ კამპანიის (16 ნოემბერი - 10 დეკემბერი) ფარგლებში ქალებისათვის სპეციალური აქტივობების განხორციელება;	გენდერულ თემატიკას, ვერ ზუსტდება **მიზანი:** წელიწადში მინიმუმ 4 ინფორმაცია/პუბლიკაცია		საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური
სტრატეგიული მიზანი 4. სააგენტოს სისტემაში სექსუალური შევიწროვებისა და დისკრიმინაციის სხვა შესაძლო ფორმების გამოვლენის ხელშეწყობა და სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი რეაგირების მოხდენა; შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება				
ამოცანა 11. სააგენტოში სექსუალური შევიწროების და დისკრიმინაციის შესაძლო სხვა ფორმების საწინააღმდეგო პოლიტიკისა და შესაბამისი საჩივრების მიღება-განხილვის ეფექტიანი მექანიზმის იმპლემენტაცია	11.1. სააგენტოს შიდა, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მოკვლევის მექანიზმის დანერგვა; 11.2. სექსუალური შევიწროების შესახებ ონლაინ კურსის დანერგვა სააგენტოს თანამშრომლებისთვის; 11.3. სექსუალური შევიწროების მოკვლევის მიზნით აღნიშნულ საკითხში გადამზადებული თანამშრომლებით დაკომპლექტებული კომისიის შექმნა (საჭიროებისამებრ); 11.4. სექსუალური შევიწროების საკითხზე ბროშურის მომზადება და თანამშრომლების ინფორმირება; 11.5. ტრენინგის ჩატარება თანამშრომლებისათვის სექსუალური შევიწროვების საკითხზე.	სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სექსუალური შევიწროების პრევენციის დოკუმენტი, ფუნქციონირებს სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მოკვლევის მექანიზმი, სააგენტოში სექსუალური შევიწროების საკითხზე გადამზადებული შესაბამისი თანამშრომლების რაოდენობა სექსუალური შევიწროვების შესახებ ელექტრონული კურსი გავლილი აქვს სააგენტოს ყველა თანამშრომელს **ბაზისი:** 2020 წლიდან დამტკიცებულია სექსუალური შევიწროების	2020-2023	ადმინისტრაციული დეპარტამენტი; გაეროს ქალთა ორგანიზაცია

		პრევენციისა და მოკვლევის დოკუმენტი და გადამზადებულია შესაბამის თანამშრომელთა 30% **მიზანი:** 2021 წლის ბოლოსთვის გადამზადებულია შესაბამისი თანამშრომლების 70%		